

დანართი 1
დამტკიცებულია

მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის

2018 წლის 10 სექტემბერის N5 ბრძანებით



ქართულ და ინგლისურ ენაში მომზადების საგანმანათლებლო სასერტიფიკატო პროგრამა

2018 წელი

ქართული ენის სწავლების კომპონენტში პროგრამის მოცულობა კვირაში 12 საათი
ინგლისური ენის სწავლების კომპონენტი პროგრამის მოცულობა კვირაში 6 საათი

პროგრამის საერთო სავარაუდო ხანგრძლივობა მოიცავს ერთ სასწავლო წელს.
პროგრამის ღირებულება 1300 - 1500 ლარი.

პროგრამის მიზანი:

- წარმატებული კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება);
- ქართული და ინგლისური ენობრივ-კულტურული ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა;
- ქართული და ინგლისური ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო ან/და საშუალო განათლება.

პროგრამაზე რეგისტრაცია:

პროგრამაზე რეგისტრაციისთვის აუცილებელია დადგენილი ფორმის განცხადების შევსება, ამ პროგრამით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენა და კოლეჯთან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება.

პროგრამაზე სწავლეების პროცესი რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

მსმენელს აქვს ქართული და ინგლისური ენის საბაზისო ცოდნა; შეუძლია ქართულ და ინგლისური ენის მნიშვნელობის გაცნობიერება. იცის ქართული და ინგლისური ენის სტრუქტურა, ერკვევა ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში და აცნობიერებს საერთო ნიშნებს. აქვს ქართული და ინგლისური ენის საბაზისო ლექსიკური მარაგი. აცნობიერებს ქართულ და ინგლისურ ლიტერატურულ და ფოლკლორულ შედეგებს. ფლობს ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტებს. (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა და სხვა) გაცნობა.

პრაქტიკული უნარები

შეუძლია: ქართული და ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენება გარკვეული წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის; საუბრის წარმართვა. აქვს ქართულ და ინგლისურ ენაზე გარკვეული ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის და ანალიზის უნარი; ქართული და ინგლისური ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენების უნარი; სხვადასხვა ტიპის ტექსტის რედაქტირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი; კონკრეტული მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში; ენობრივი პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. კონკრეტული ენობრივი ფაქტების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

დასკვნის უნარი

აქვს არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; სიტუაციაში ადაპტირებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.

სწავლის უნარი:

აქვს საკუთარ თავზე მუშაობის და ქართულ და ინგლისურ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის და უნარების დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; საკუთარი სწავლის პროცესის შეფასების უნარი;

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა; საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა; მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და გადმოცემა.

ღირებულებები

პატივს სცემს ქართული და ინგლისური ენობრივი ღირებულებებს; იცავს ურთიერთობების ეთიკას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი ეფექტური მეთოდები:

- ლექციები თვალსაჩინოებებისა (სქემები და სხვა გრაფიკული საშუალებები, ბანერები, და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების (აუდიომაგნიტოფონები, კომპიუტერები) გამოყენებით;
- სემინარები;
- პრაქტიკული მეცადინეობები;
- ზეპირი პრეზენტაციები;
- მცირე ჯგუფებსა და წყვილებში მუშაობა;
- მოდელირებული სიტუაციების განხილვა;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ვიდეო მასალის განხილვა და ა.შ.

ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასება ხორციელდება დონის განმსაზღვრელი ტესტირების საფუძველზე.

ტესტის ფორმას და შინაარსს, ტესტირების ჩატარების ვადებს და ორგანიზაციულ საკითხებს არეგულირებს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამაში ჩართულ მასწავლებლებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაცია:

პროგრამაზე რეგისტრაციისთვის საჭიროა მსმენელმა დირექტორის სახელზე დაწეროს განცხადება, წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გააფორმოს კოლეჯთან ხელშეკრულება.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

პირადობის მოწმობის ასლი

საბაზო ან/და საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

არასრულწლოვანი პრის შემთხვევაში დამატებით:

მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი

არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობის ასლი.

არასრულწლოვანი მსურველი პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

პროგრამაზე სასწავლო პროცესში ჩართულები არიან ქართულის და ინგლისური ენის მასწავლებლები, რომელთაც აქვთ შესაბამისი ენის სწავლების გამოცდილება.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:

თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, სათანადო ინვენტარით (მერხი, დაფა, ვიდეო-პროექტორი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები და სხვ.). ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია აგრეთვე პრინტერით, ქსეროქსით და სკანერით. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია online რეჟიმში სახელმძღვანელოებითა და სხვა ინტერნეტრესურსებით სარგებლობა. მათ შორის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

სასწავლო რესურსები:

ქართული ენის სწავლების კომპონენტში სწავლება ხორციელდება:

აღმართი - A1, A2, A2+, B1, B2 ლიტერატურით და მასწავლებლის მიერ შერჩეული სხვა დამხმარე მასალებით.

http://geofl.ge/#!/page_saxelmdzvanelo

ინგლისური ენის სწავლების კომპონენტში სწავლება ხორციელდება:

მასწავლებლის მიერ შერჩეული სხვადასხვა ლიტერატურით.

სერტიფიკატის გაცემა:

სერტიფიკატი გიცემა პირზე, რომელიც ტესტირების საფუძველზე დაადასტურებს შესაბამისი ენის, შესაბამისი დონის კომპეტენციას.

სერტიფიკატის ფორმას შეიმუშავებს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.

სერტიფიკატი გიცემა დირექტორის ბრძანების საფუძველზე.